ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3354852

ნომერი: AR1516145

თარიღი : 21.06.2017

გაცემის თარიღი : 05.07.2017

გაცნობის თარიღი : 05.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , მტკვრის მარჯვენა სანაპიროს გადაკვეთასთან;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი კახუაშვილი პ/ნ 01023006633
- თბილისი სანზონა კორ. 7 ბ. 4

ორგანიზაცია:
- შპს "ჩემი ოფისი" კოდი: 401997112

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 4 მაისის №346 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთისგამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 21 ივნისის № AR1516145 განცხადებით მომართა შპს „ჩემი ოფისი“-ს დირექტორმა გიორგი კახუაშვილმა და მოითხოვა 2009 წლის 4 მაისის №346 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01.13.03.010.028 (ფართობი 400 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე სავაჭრო

და საგამოფენო პავილიონის განთავსების მიზნით დამტკიცებულ იქნა №346 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ამავე სამსახურის №329228, №438325 და №1604242 ბრძანებებით ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 4 მაისის №346 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.
სამსახურის 2017 წლის 3 თებერვლის №3078303 ბრძანებით, ხსენებულ პირობებში შევიდა ცვლილება და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა სასტუმრო. დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს საპროექტო ობიექტად სასტუმროს ნაცვლად ისევ სავაჭრო-საგამოფენო პავილიონის დაფიქსირებას, რაც სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიიჩნია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 4 მაისის №346 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს სავაჭრო-საგამოფენო პავილიონი;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 4 მაისის №346 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.